საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 27/02-06
15/01/2020

27-02-06-4-202001151337

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემზარ ხმალაძის ესპანეთის სამეფოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" „ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემზარ ხმალაძის 2020 წლის 6 იანვრის N42/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2020 წლის 20 იანვრიდან 29 იანვრამდე, ქალაქ სანტიაგო დე კომპოსტელას (ესპანეთის სამეფო) უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტში ალგებრის სემინარზე მოხსენების -,,ჯგუფების და ლის ალგებრების q-კაპაბილითი თვისებები"- წასაკითხად და სამეცნიერო კვლევითი სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ემზარ ხმალაძე.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს გასცეს სამივლინებო 2499.76 ლარი, უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N 1).

3. დაევალოს ემზარ ხმალაძეს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ემზარ ხმალაძის ესპანეთის სამეფოში მივლინების ხარჯთაღრიცხვა

1.მგზავრობის ხარჯი:(გადახდის დამადასტურებელი საბუთი)- 1287 ლარი

2. სადღეღამისო ხარჯი:

9 დღე X 41.83ევრო(ნაწილობრივ) X 3.2214 ლარი = 1212.76 ლარი.

სულ: 2499.76 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი